ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2930669

ნომერი: AR1451066

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 07.11.2016

გაცნობის თარიღი : 07.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 7ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ მღებრიშვილი პ/ნ 01022008803
- თბილისი ჭოპორტის ქ. N 3 ბ. 43

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1451066 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა #7ბ–ში (ს/კ #01.10.10.004.055) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ითხოვთ წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 24 ოქტომბერს #AR1450854 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ბადრი სექანიამ, მოითხოვა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სახლის დემონტაჟის ნებართვა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, 2016 წლის 28 ოქტომბრის #2911003 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული შეთანხმება არ მომხდარა.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა #7ბ–ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
